



ონის მუნიციპალიტეტის მერია



ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი

N 2276
04/10/2019

2276-02-4-201910041140



ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის N27 დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგი.
2. დღის წესრიგით განსახილველ საკითხებად განისაზღვროს:
 - ა. ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სხდომის გახსნა (მომხს. ონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ეკა მაისურაძე).
 - ბ. 2018 წლის 9 აგვისტოს გამართულ „შშმ პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს“ სხდომაზე 2018 -2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
 - გ. „ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს“ 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით დავალებების გაცემა.
 - დ. „ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭო“-ს 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
3. ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სხდომა გაიმართოს 2019 წლის 07 ოქტომბერს 14.00 სთ-ზე ონის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართ. დავით აღმაშენებლის ქ. N40).
4. ბრძანება გადაეგზავნოს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

